ხელშეკრულება T-055-22

ქ. თბილისი 16 თებერვალი, 2022 წელი.

ერთის მხრივ, შპს „საქართველოს ფოსტა“ (შემდგომში - „შემსყიდველი“), მისი ფინანსური დეპარტამენტის უფროსის ლაშა ჯაფარიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ეკოპლასტიკი“ (შემდგომში - „მიმწოდებელი“) მისი დირექტორის ხათუნა ბუჩუკურის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე, **NAT220001505** ელექტრონული ტენდერის (აუქციონის გარეშე) ჩატარების შედეგად აფორმებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში – „ხელშეკრულება“) შემდეგზე:

მუხლი 1. შესყიდვის ობიექტი

1.1. შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს: ონკანები და მისი ნაწილები (შემდგომში: „საქონელი“), CPV კოდი: 42130000. 42131000, 42132000.

1.2. შესყიდვის ობიექტის დეტალური აღწერა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

1.3. შესყიდვის ობიექტის დასახელება, რაოდენობა, ერთეულის ფასი და საერთო ღირებულება მოცემულია ხელშეკრულების დანართში #1, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

1.4. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური აღწერილობა მოცემულია ხელშეკრულების დანართში #2, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 9 031.80 (ცხრაათს ოცდათერმეტი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, მათ შორის დღგ-ს.

მუხლი 3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი და ვადა

3.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება მიმწოდებლის ხარჯით, ქ. თბილისი, სადგურის მოედანი #2.

3.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად, 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, რისთვისაც შემსყიდველი ორგანიზაცია, წერილობით ან/და ელ.ფოსტის საშუალებით მიმწოდებელს წინასწარ განუსაზღვრავს შესყიდვის ობიექტის რაოდენობას, ასეთი შეტყობინების შემდგომ, მიმწოდებელი ვალდებულია შესყიდვის ობიექტის მიწოდება განახორციელოს არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში

მუხლი 4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის ობიექტი მიწოდებულად ჩაითვლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, რომელიც დასტურდება მხარეების ან მათი წარმომადგენლების (უფლებამოსილი პირების) ხელმოწერით.

4.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს შპს „საქართველოს ფოსტა“-ს **სამეურნეო სამსახურის უფროსი - ზაზა ხეცურიანი.**

4.3. ხელშეკრულების 6.4. პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე და მოითხოვოს ხელშეკრულების პირობების შესრულება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე.

მუხლი 5. ანგარიშსწორება

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში;

5.2. ანგარიშსწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ მიწოდებულ საქონელზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადები და კანონმდებლობით გათვალისწინებული საგადასახადო დოკუმენტაცია.

5.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა შორის მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების, მიმწოდებლის მიერ წარმოდეგნილი სასაქონლო ზედნადების და კანონმდებლობით გათვალისწინებული საგადასახადო დოკუმნეტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

5.4. საავანსო ანგარიშწორების მექანიზმი არ გამოიყენება.

მუხლი 6. მხარეთა უფლება-მოვალეობები

6.1. შემსყიდველის უფლება აქვს:

6.1.1. შეამოწმოს შესყიდვის მახასიათებლების შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

6.1.2. რაიმე ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, აცნობოს და მოსთხოვოს მიმწოდებელს ნაკლის დაუყოვნებლივ გამოსწორება.

6.1.3. მოითხოვოს მიმწოდებლისგან ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისერი შესრულება.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია:

6.2.1. უზრუნველყოს მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

6.2.2. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

6.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

6.3.1. მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

6.4.1. უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულება.

6.4.2. შემსყიდველს მიაწოდოს ახალი და ხარისხიანი შესყიდვის ობიექტი, რომელიც არ გამოავლენს დეფექტებს.

6.4.3. შესყიდვის ობიექტის გადაბარებისას, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე რაიმე ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი გამოსწორება (გაწიოს საჭირო მომსახურება და/ან ახლი შესყიდვის ობიექტის მიწოდება) შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯების გარეშე, არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და შეწყვეტა

7.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი ფორმით.

7.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

7.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

7.5. მხარეების ვალდებულნი არიან 7.4. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

7.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 8. მხარეთა პასუხისმგებლობა

8.1. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

8.2. ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების 0.02 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.4. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.5. 7.4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევის დადგომისას, შემსყიდველი უფლებამოსილია

ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის მოითხოვოს პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20%-ის ოდენობით, ხოლო ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, მოითხოვოს პირგასამტეხლო შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 10%-ის ოდენობით.

მუხლი 9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

მუხლი 10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ თავისუფლდება ნაკირსი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.2. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორს-მაჟორული გარემოებების დასრულებისთანავე.

მუხლი 11. სადავო საკითხების გადაწყვეტა

11.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

11.2. თუ მხარეები მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მათი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2023 წლის 28 თებერვლის ჩათვლით.

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
შპს „საქართველოს ფოსტა“	შპს „ეკოპლასტიკი“
ს/კ: 203 836 233	ს/კ: 400321692
მის: ქ. თბილისი, სადგურის მოედანი #2	მის: ქ. თბილისი, ღრმაღელის #88ბ
ტელ: (+995 32) 224 09 09	ტელ: (+995) 551088749
ს.ს. „საქართველოს ბანკი“	ს.ს „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი: BAGAGE22	ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშის # GE13BG0000000123286800	ანგარიშის # GE39BG0000000527141661
ლაშა ჯაფარიძე	ხათუნა ბუჩუკური
ფინანსური დეპარტამენტის უფროსი	დირექტორი

დანართი №1

ფასების ცხრილი

№	შესყიდვის ობიექტის დასახელება	რაოდენობა (ცალი)	ერთეულის ღირებულება (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)
1	თერმექსის უკუსარქველი	20 ცალი	8.26 ლარი	165.20 ლარი
2	წყლის ვენტილი	20 ცალი	4.24 ლარი	84.80 ლარი
3	წყლის ვენტილი	30 ცალი	6.49 ლარი	194.70 ლარი
4	წყლის ვენტილი	20 ცალი	3.06 ლარი	61.20 ლარი
5	ვენტილი	100 ცალი	6.72 ლარი	672.00 ლარი
6	სამზარეულოს შემრევი ონკანი (მაღალი ცხვირით) ქვედა მიწოდებით	100 ცალი	28.32 ლარი	2832.00 ლარი
7	ონკანი შემრევით ხელსაბანისთვის	75 ცალი	29.50 ლარი	2212.50 ლარი
8	აბაზანის შემრევი ონკანი კედელზე მისამაგრებელი, კომპლექტით	30 ცალი	48.38 ლარი	1451.40 ლარი
9	წყლის ონკანის სარქველი ე.წ. კარტრიჯი	170 ცალი	4.24 ლარი	720.80 ლარი
10	შემრევი ონკანის გულანა	30 ცალი	4.13 ლარი	123.90 ლარი
11	აბაზანის საშხაპე ყურმილი	5 ცალი	35.40 ლარი	177.00 ლარი
12	ონკანი ქვედა მიწოდებით	15 ცალი	14.16 ლარი	212.40 ლარი
13	ჩამკეტი ვენტილის გულანა (არკოს ვენტილთან თავსებადი)	15 ცალი	8.26 ლარი	123.90 ლარი
			ჯამური ღირებულება:	**9031.80 ლარი**

„შემსყიდველი“

შპს „საქართველოს ფოსტა“

ლაშა ჯაფარიძე
ფინანსური დეპარტამენტის უფროსი

„მიმწოდებელი“

შპს „ეკოპლასტიკი“

ხათუნა ბუჩუკური
დირექტორი

დანართი №2

ტექნიკური მონაცემები

№	შესყიდვის ობიექტის დასახელება	ტექნიკური აღწერილობა	მწარმოებელი ქვეყანა მწარმოებელი
1	თერმექსის უკუსარქველი	20მმ-იანი	ჩინეთი, იფანი
2	წყლის ვენტილი	32მმ-იანი, ნახევარი ბრუნვით პლასტმასის უთოთი გადასაბმელი	ჩინეთი, იფანი
3	წყლის ვენტილი	20მმ-იანი, მთლიანი ბრუნვით პლასტმასის უთოთი გადასაბმელი	ჩინეთი, იფანი
4	წყლის ვენტილი	25მმ-იანი, ნახევარი ბრუნვით პლასტმასის უთოთი გადასაბმელი	ჩინეთი, იფანი
5	ვენტილი	ლატუნის წყლის ჩამკეტი ვენტილი ½ შიდა და გარე ხრახნით	ჩინეთი, იფანი
6	სამზარეულოს შემრევი ონკანი (მაღალი ცხვირით) ქვედა მიწოდებით	1/2 ზე. მეტალის ვერცხლისფერი	ჩინეთი, იუკოსი
7	ონკანი შემრევით ხელსაბანისთვის	ქვედა მიწოდებით. 1/2 ზე. (დაბალი ცხვირით) მეტალის ვერცხლისფერი	ჩინეთი, იუკოსი
8	აბაზანის შემრევი ონკანი კედელზე მისამაგრებელი, კომპლექტით	მასალა: ქრომირებული ლატუნი, მოძრავი ცხვირით, შემრევის ტიპი - ერთბერკეტიანი, ცხვირის სიგრძე: 32სმ, დრეკადი მილი- სიგრძე: 150სმ საშხაპე ხელი-დიაგონალი: 70მმ-იანი წყლის დინების გადამრთველით	ჩინეთი, იუკოსი
9	წყლის ონკანის სარქველი ე.წ. კარტრიჯი	პლასტმასის ცივი და ცხელი წყლის 40 მმ-იანი	ჩინეთი, იფანი
10	შემრევი ონკანის გულანა	პლასტმასის ცივი და ცხელი წყლის 20 მმ-იანი	ჩინეთი, იფანი
11	აბაზანის საშხაპე ყურმილი	მაკომპლექტებელი: საშხაპის დრეკადი მილი 1.5მ, საშხაპის ძელით	ჩინეთი, იფანი
12	ონკანი ქვედა მიწოდებით	მხოლოდ ცივი წყლისთვის სტანდარტული 20 მმ-იანი მონიკელებული ან ლატუნის	ჩინეთი, დიაბლო
13	ჩამკეტი ვენტილის გულანა (არკოს ვენტილთან თავსებადი)	ლატუნის ჩვეულებრივი მთლიანი ბრუნით	ჩინეთი, მაკი

„შემსყიდველი“

შპს „საქართველოს ფოსტა“

ლაშა ჯაფარიძე
ფინანსური დეპარტამენტის უფროსი

„მიმწოდებელი“

შპს „ეკოპლასტიკი“

ხათუნა ბუჩუკური
დირექტორი